

ტ.ს. ელიოტის ტრადიცია და შეიმას ჰინის კრებული “ჩრდილოეთი”

ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე და „იელის კრიტიკოსთა“ სახელით ცნობილი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ჰაროლდ ბლუმი თავის ნაშრომში „გავლენის შიში“ ავითარებს თეორიას, რომლის მიხედვითაც ლიტერატურა თავისი შინაგანი ბუნებით ანტაგონისტურია, რაც ვლინდება იმით, რომ ყოველი ავტორი თავის წინამორბედ შემოქმედს სხვადასხვა დიალექტიკური ხერხით „ეჯიბრება“ (Bloom, 1997:14). ე.წ. ძლიერი პოეტი ახერხებს წინამორბედთა ტექსტების ტრანსფორმაციას ანდაც სრულ იგნორს, რაც ბლუმის აზრით, სწორედ „გავლენის შიშით“ არის განპირობებული. ეს შიში, თავისებური რიტორიკული ტროპების სახითაა ჩასახლებული ახალ ტექსტში და ამიტომ, წინამორბედ ტექსტებთან ჰიდდლში შექმნილ ახალ ნაწარმოებში რიტორიკულად არის ჩაწერილი ერთგვარი შფოთი. რაც შეეხება გავლენის მექანიზმებს, ბლუმი ექვსი ტიპის რევიზიულ მიმართებას აანალიზებს და ტომას სტერნზ ელიოტისა და შეიმას ჰინის კავშირზე საუბრისას განსაკუთრებით საინტერესოა რიგით მესამე, კენოზისი, ანუ გამეორება და მემკვიდრეობითობის წყვეტა. შეიძლება ითქვას, რომ დიდ პოეტებთან ადგილი აქვს წყვეტის ამ მექანიზმს, რათა ე.წ. ახალი პოეტი გათავისუფლდეს მემკვიდრეობითობისაგან.

1977 წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ლიტერატურულ შთაგონებაზე საუბრისას ირლანდიელმა პოეტმა და დრამატურგმა შეიმას ჰინიმ ათზე მეტი პოეტი ჩამოთვალა, ხოლო როდესაც ელიოტი უხსენეს, აღნიშნა რომ მის გემოვნებაში დიდად არ ჯდება (Deanne, 1977:66). აქედან ათ წელში, ჰარვარდში გამართულ საჯარო ლექციაზე პოეტმა დააკონკრეტა, რომ ელიოტი არ იყო მისთვის შთაგონების წყარო, არამედ „ლიტერატურული სუპერეგო და მუდმივი ზედამხედველი, რომლისგანაც უნდა გაიქცე“ (Heaney, 2002:39). ეს აშკარა წინააღმდეგობა ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა და დროსთან ერთად უფრო და უფრო სუსტი ხდებოდა, მაგალითად, 2004 წელს, ჰინი წერს, რომ ელიოტის კითხვამ მას პოეზიის კითხვა ასწავლა, ხოლო მის ტრადიციასთან მრავალწლიანმა დაპირისპირებამ მასში პირადი ელიოტი ჩამოაყალიბა („Inner Eliot“).

ელიოტისგან სესხების მაგალითები ჰინის პირველივე კრებულში („ნატურალისტის სიკვდილში“) გვხვდება. ლექსში „For the Commander of the Eliza“ ცოცხალი ადამიანების მოსიარულე გვამებად წარმოსაჩენად ელიოტისეული მეტონომია იქცევს ყურადღებას. ხოლო რადგან მოქმედება საკლასო ოთახში მიმდინარეობს, „უნაყოფო მიწის“ ერთ-ერთი სიმბოლო - „ხსოვნა და სურვილი“ - ცარცთან არის დაკავშირებული. ლექსში „გამომშვიდობება“ ასევე გვხვდება

ასოციაციები „ნაცრისყრის ოთხშაბათიდან“ და ელიოტის ლექსის “ღვთიური ქალბატონი” ირლანდიურ კონტექსტში არის ჩასმული.

თუმცა ელიოტის ტრადიციის სესხების ყველაზე საინტერესო შემთხვევა ჰინის 1975 წელს გამოქვეყნებული ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტებით დატვირთული პოეზიის კრებული „ჩრდილოეთია“, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტს ეხება. ე.წ. არეულობები, რომელიც აღწერს 1968 წლიდან 98 წლამდე მიმდინარე ეთნო-ნაციონალურ დაპირისპირებას ჩრდილო ირლანდიელ პროტესტანტ უნიონისტებსა და კათოლიკე ნაციონალისტებს შორის. კრებულში ძირითადი სიმბოლიზმი წარსულის ლიტერატურული თუ ისტორიული კონფლიქტებიდან არის აღებული. მისი პირველი ნაწილი დიდწილად ისეთ მოტივებს იყენებს, როგორიცაა ანტეოსის ბერძნული მითი, ჩრდილოეთ ევროპის პირველი მოსახლეების ისტორია, ვიკინგები და სხვა ისტორიული ფიგურები.

„ჩრდილოეთის“ ძირითადი თემებია ისტორიის, იდენტობისა და ძალადობის გაგება ირლანდიის ისტორიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკური სიტუაციის კონტექსტში. პოეტი იყენებს მითოსსა და ისტორიულ წარსულს, რათა საინტერესოდ დაამყაროს კავშირი თანამედროვე საკითხებთან. „ჩრდილოეთი“ იმ პერიოდში გამოქვეყნდა, როცა ჰინი ელიოტს „ლუტერატურულ სუპერეგოდ“ მოიხსენიებდა და არაა გასაკვირი, რომ კრებულს ეპიგრაფის სახით წამძღვარებული ჰქონდა შემდეგი მონაკვეთი ელიოტის რიგით მეოთხე, უკანასკნელი კვარტეტიდან „ლითლ გიდინგი“:

“This is the use of memory:
For liberation - not less of love but expanding
Of love beyond desire, and so liberation
From the future as well as the past. Thus, love of a country
Begins as an attachment to our own field of action
And comes to find that action of little importance
Though never indifferent. History may be servitude,
History may be freedom. See, now they vanish,
The faces and places, with the self which, as it could, loved them,
To become renewed, transfigured, in another pattern.”

ის იდეა, რომ ისტორია, შეიძლება ერთდროულად მონობა და თავისუფლება იყოს, ნათლად ესადაგება კრებულის ეროვნულ სენტიმენტებს. წარსულის ხსოვნა როგორც ელიოტისთვის ისე ჰინისთვის თან ტრავმა, თან ერთგვარი ხსნის გზაა. “ჩრდილოეთზე” მუშაობის პერიოდში ჰინი არა ერთხელ ახსენებს ჯოისისა და იეიტსის მითოსურ მეთოდს, რაც, მისი აზრით, თანამედროვე ირლანდიური

პოეზიისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიდგომა იყო, რათა აწმყო და წარსული ტრადიციის თანაარსებობა ყოფილიყო შესაძლებელი. ჩრდილოეთ ირლანდიაში მზარდი პოლიტიკური არეულობისა და ძალადობის ფონზე ჰინისთვის ყველაზე ახლო ის მსოფლმხედველობა და მიდგომაა, რომელიც, როგორც თვითონ მოგვიანებით აღნიშნავს, იეიტსსა და ელიოტს ეხმარებოდა იმაში, რომ ორი მსოფლიო ომის პარალელურად ეწერათ ძალადობაზე, სიკვდილზე, სიცოცხლეზე და საბოლოოდ მე-20 საუკუნის განმსაზღვრელი და ამავედროულად უნივერსალური პოეზია შეექმნათ. მიუხედავად იმისა რომ „ლითლ გიდინგიდან“ აღებული ეპიგრაფი ჰინის კრებულის კონცეპტუალურ საფუძველს ქმნიდა, „ჩრდილოეთის“ გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე პოეტმა საბოლოო ვარიანტში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა და მთელი ეს სექცია წაშალა. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა ერთ-ერთ ინტერვიუში კითხვაზე, „როგორ უსწორებთ თვალს ტ.ს. ელიოტს“, ჰინი პასუხობს, „თვალს არ ვუსწორებ, ზურგს ვაქცევ და გავრბივარ“. თუმცა, როგორც ჩანს, ეს წაშლილი პარაგრაფი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჰინის პოეტური წარმოსახვისთვის: 1977 წელს სწორედ მას ციტირებს ლონდონში გამართულ საიუბილეო საჯარო გამოსვლისას და საუბრობს ისტორიის შეგრძნებაზე, როგორც არა აბსტრაქციაზე, არამედ ჭეშმარიტების ერთ-ერთ კატეგორიაზე. 80-იან წლებში კი სხვადასხვა ესესა და წინასიტყვაობაში აქტიურად აგრძელებს ციტირებას და ნათელი ხდება, რომ „ლითლ გიდინგის“ ეს მონაკვეთი ჰინის პირად წარმოსახვით ხედვად ჩამოყალიბდა, რომელიც მას ეხმარებოდა შემოქმედებით აქტივობაში ხსოვნისა და გახსენების დანიშნულების განსაზღვრაში.

მართალია ჰინის პოეტურ შემოქმედებაში ელიოტის პირდაპირი კვალი ასე თუ ისე შეზღუდულია, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით მის წერილებზე, საიდანაც ჩანს, რომ ელიოტის შემოქმედებასა და გამოცდილებაზე ფიქრი ჰინისთვის ყოველთვის აქტუალური იყო. მაგალითად, 1974 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში იგი ელიოტს ციტირებს, რომ ლექსების წერა „საჰაერო რეიდების დროს კულტურული თავშესაფარი იყო“ (Heaney, 2002:122). ამაზე ირლანდიელი პოეტი იხსენებს ბელფასტში გატარებულ სადამოებს და წერს, რომ სირენების ხმა მის თავში არსებულ ყველა ხმას ახშობდა და საკუთარ გამოცდილებას ელიოტის მეორე მსოფლიო ომის დროინდელ მდგომარეობას უპირისპირებს. ნათელია, რომ „ჩრდილოეთზე“ მუშაობის პერიოდი საკმაოდ კრიზისული იქნებოდა პოეტისთვის თუ შთაგონებასა და ხსნის გზებს ელიოტის გამოცდილებაში ეძებდა. ამ დროს პოლიტიკური არეულობისა და ქვეყანაში მოზღვაკებული ძალადობის გარდა, ჰინის პროფესორის კარიერაზე უარის თქმა და ქვინზის უნივერსიტეტი დატოვება მოუწია. გამომცემლისთვის მიწერილ წერილიდან ვიგებთ, რომ „ჩრდილოეთი“ კრიზისის კრებულია და პოეტს ერთი სული აქვს როდის გამოსცემს და მოიშორებს მას.

მოგვიანებით, როცა იგი „ჩრდილოეთის“ პერიოდს იხსენებს თავისი შემოქმედებიდან, ამბობს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო გაეაზრებინა ხელოვნების დანიშნულება და მნიშვნელობა რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, „ახლა ვხვდები რომ ისეთ ასაკში ვიყავი, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია - სადაც 35 წლის ვიყავი. ალბათ რაღაც პოეტური გარდატეხის პერიოდი მქონდა“ (Heaney, 2002:96). არ აქვს მნიშვნელობა რამდენად გააზრებულად ასახელებს მაინცდამაინც ამ ასაკს, ფაქტია, რომ ჰინი თავის თავს ლიტერატურულ და მითოსურ გენეალოგიაში სვამს: დანტე 35 წლის იყო როცა ვერგილიუსს შეხვდა „ჯოჯოხეთში“ ხოლო ელიოტი ამ ასაკში დანტეს „ახალი სიცოცხლის“ მოდერნისტულ ანალოგს, „ნაცრისყრის ოთხშაბათს“ წერს. თავისი ცხოვრების შუა გზაზე ჰინი როგორც ჩანს ლიტერატურული ტრადიციის მოგონებებს მიმართავს, სადაც ელიოტის „ლითლ გიდინგი“ და ამ პოემას მუშაობის დროს დაწერილი კორესპონდენცია მისთვის განსაკუთრებით აქტუალურია. ჰინი აწმყოს კრიზისის მოსაწესრიგებლად პოეტურ ტრადიციას თავის პირად გამოცდილებას უპირისპირებს, ისე უყურებს ელიოტს, როგორც ელიოტი დანტეს და დანტე ვერგილიუსს. ერთ-ერთი კრიტიკული ნაშრომის შესავალში ჰინი ციტირებს ელიოტის წერილს, რომელშიც პოეტი „ლითლ გიდინგის“ წერისას არსებულ წინააღმდეგობებზე საუბრობს - „მთელი პოემის დეფექტი ისაა, რომ მწვავე პირადი მოგონებები აკლია (რომელთა ძალაც, რა თქმა უნდა, არა პირდაპირ, არამედ სადაც, ზედაპირის ქვეშ უნდა იგრძნობოდეს)“ (Heaney, 2002:145). სწორედ ამის მცდელობა აქვს პოეტს „ჩრდილოეთის“ ლექსებში. მეხსიერება - იქნება ეს პირადი, კულტურული, ლიტერატურული თუ ისტორიული - გამოყენებულია როგორც ხერხი რომელიც წარსულ ფორმებს გარდაქმნის და პირად, თანამედროვე პოლიტიკურ კონფლიქტს ეხმიანება.

კრებულის წაშლილ ეპიგრაფში, ელიოტი პარადოქსების ენის გამოყენებით ისტორიაში უდროო მომენტის პოვნაზე საუბრობს, რომელიც ისტორიისადმი საკუთარი თავის მიკუთვნებითა და ამავედროულად სრული განდგომით, დაშორებით მიიღწევა. ამ გაგებით, ეპიგრაფი არა მარტო იდეური საყრდენი და წყარო, არამედ კონცეპტუალური ჩარჩოცაა „ჩრდილოეთის“ ლექსებისთვის. კრებულის პირველი ლექსი „ანტეოსი“ მოგვითხრობს გმირზე, რომელიც „წარუშლელია დედამიწის კონტურიდან“, კრებულის ბოლო ლექსში კი, რომელსაც „ჰერკულესი და ანტეოსი“ ჰქვია გმირი საბოლოოდ დამარცხებული და დავიწყებულია. ასე რომ ისტორიის ელიოტისეული ორი რადიკალური აღქმა გამეორებულია ჰინის კრებულის პირველ და ბოლო ლექსში, მიკუთვნება და განზე გადგომა.

კრებულში ერთადერთი პირდაპირი სესხება „ლითლ გიდინგიდან“ ასევე ბოლო ლექსში გვხვდება, როცა ჰინი კომეტიდან ამომავალი ვარდის სიმბოლოს ქმნის და ელიოტის პოემის ბოლო სიმბოლოს, ცეცხლოვან ვარდს, გვახსენებს.

სალხინებლის 30-ე ქებაში, მთაზე ასვლის შემდეგ დანტე თავის გიდს ემშვიდობება, თუმცა როცა ვერგილიუსისკენ ტრიალდება მას ვედარ პოულობს და ბოლო მიმართვას ასე წარმოთქვამს - ძველ კვალს ვცნობ ცეცხლისა, რაც თავის მხრივ ნასესხებია ენეიდას მეოთხე წიგნიდან, კერძოდ დედოფლის გოდების ეპიზოდიდან. ეს ციტატი ერთი შეხედვით ამოგლეჯილია ორიგინალი კონტექსტიდან და დაკარგული აქვს პირველადი სახე, ვინაიდან ნართგმნია ფლორენციულ ხალხურ ენაზე. დანტე თავისი წინაპრის და გიდის აჩრდილს პირდაპირი და ირიბი დატვირთვით საიქიოში უშვებს, ვრწმუნდებით მის დიდ პატივისცემაში თუმცა ამავედროულად ვხედავთ ტრადიციისგან დაშორების მცდელობას, იმისათვის რომ ახალი, ინდივიდუალური ტალანტი ჩამოყალიბდეს.

იგივე მიდგომას იყენებს ელიოტი თავის პირველ პოეტურ კრებულში „პრუფროკი და სხვა დაკვირვებები“, როდესაც დანტეს „ჯოჯოხეთიდან“ აღებულ ეპიგრავს პრუფროკის სასიყვარულო საგალობელს წაუმძღვარებს, თუმცა იცის, რომ დანტეზე უარის სათქმელად კარიერის დასაწყისი ძალიან ადრეა და თავის ოსტატს მოგვიანებით ლექსში „ნაცრისყრის ოთხშაბათი“ უბრუნდება, თუმცა პირდაპირ მის გმირს აღარ ციტირებს და უფრო შეფარვით იღებს ასოციაციებს, მაგალითად, პოემა გვიდო კავალკანტის ლექსიდან სესხებით იწყება და არნო დანიელის თხოვნით სრულდება, რომ მისი ტანჯვა არ დავივიწყოთ, რომელიც ელიოტს ორიგინალ ენაზე აქვს გადმოტანილი „კომედიიდან“. ამგვარად, დანტეს აჩრდილი პოემის ყველა ძირითად ქვეტექსტს თან სდევს.

შეიძლება ჰინიმაც, ისევე როგორც ელიოტმა, გარკვეული უხერხულობა იგრძნო ოსტატის პირდაპირი ციტირებით და საბოლოოდ გადაწყვიტა „ჩრდილოეთის“ ეპიგრავი საერთოდ წაეშალა. მიუხედავად ამისა, „ლითლ გიდინგის“ პასაჟი ისეთივე აჩრდილია ჰინის კრებულის მითოსისა და მთავარი თემებისთვის როგორც ელიოტის ავტორიტეტული სუპერეგო ჰინისთვის. შეიძლება ითქვას, რომ 1975 წელს შეიმას ჰინი ჯერ მზად არ იყო ელიოტზე პირდაპირ სალაპარაკოდ, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ წლებთან ერთად ელიოტის უფრო და უფრო დიდი გავლენა ჩანს მის პოეზიაში. ეს თვითონ ჰინიმაც დაადასტურა, ჯერ 1989 წელს, ცნობილ ესეში „ტ.ს. ელიოტის ძალა“ და ბოლოს 2009 წელს, როცა როგორც ტ.ს. ელიოტის სკოლის ერთ-ერთმა მთავარმა მომხსენებელმა და ელიოტის პოეტური ჯილდოს ლაურეატმა ლონდონის უნივერსიტეტში, სადაც მემკვიდრეობით მიღებულ ლიტერატურულ ტვირთზე წაიკითხა მოხსენება.

მართალია „ჩრდილოეთის“ ეპიგრავიანი ვარიანტი მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ, 2013 წელს გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა იმ შემთხვევაშიც, რომ არ გამხდარიყო, ელიოტის „ლითლ გიდინგისეული“ ხედვა მაინც ის ერთ-ერთი იდეური საფუძველი იქნებოდა ლიტერატურული ალუზიებისა და თეოლოგიურ-პოეტური ხედვის ჩამოყალიბებაში, რომელიც არა მარტო „ჩრდილოეთში“, არამედ ჰინის შემდეგ კრებულებშიც მნიშვნელოვან როლს

თამაშობს. 1995 წელს, როდესაც შეიმას ჰინის ნობელის პრემია მიანიჭეს ლიტერატურაში, აკადემიამ ხაზი გაუსვა მისი პოეზიის უნარს, განადიდოს ყოველდღიური სასწაულები და ცოცხალი წარსული, ელიოტი კი სწორედ ერთ-ერთი წყაროა, რომელიც არაერთი შეფარვის მიუხედავად, მაინც სიცოცხლისუნარიანი სიმბოლოა შეიმას ჰინის მრავალფეროვან პოეზიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bloom, H. (1997). *The anxiety of influence: A theory of poetry* (2nd ed.). Oxford University Press.

Deane, S. (1977) "Unhappy and at Home: Interview with Seamus Heaney." *Crane Bag* 1 (Spring).

Eliot, T. S. (1942). *Little Gidding*. In *Four Quartets*. Faber and Faber.

Heaney, S. (1975). *North*. Faber and Faber.

Heaney, S. (2022). *Finders Keepers: Selected Prose 1971–2001*. New York: Farrar, Straus, Giroux.